პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 143 (5952)

1977 წ. 23 ივლისი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის სხდომა

გაიმართა საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის პირველი სხდომა. იგი მიეძღვნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავებისათვის მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

თავის გამოსვლაში ამხ. ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, რომლითაც აღინიშნა ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის მზადება. საქართველოს მშრომელები მხურვალე დაინტერესებით განიხილავენ და ერთსულოვნად იწონებენ ჩვენი ცხოვრების ძირითად კანონს, შეაქვთ წინადადებანი კონსტიტუციის პროექტის ცალკეული განყოფილებებისა და მუხლების გამო. ამ საკითხს მიეძღვნა პარტიული კომიტეტების პლენუმები, აქტივის კრებები, პარტიული კრებები, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სესიები.

რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ზრდას მოწმობს ის, რომ შვიდი ათასზე მეტ კრებაზე, რომლებსაც 300 ათასზე მეტი კაცი ესწრებოდა, გამოვიდა 54 ათასზე მეტი კაცი, რომელთაც 57 ათასი წინადადება შეიტანეს.

კრებები იმართება მაღალიდეურ დონეზე, წარმოების კონკრეტულ ამოცანებთან მჭიდრო კავშირით. რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას უპასუხებენ იმით, რომ კისრულობენ ახალ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს, კიდევ უფრო თავდადებით შრომობენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და მეათე ხუთწლედის დავალებათა განხორციელებისათვის. მშრომელებისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის დებულებათა განმარტების მიზნით ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამეცნიერო დაწესებულებანი და შემოქმედებითი კავშირები.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო იმას, რომ რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის საწარმოთა შრომითმა კოლექტივებმა, სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ინტელიგენციამ წარმატებით შეასრულეს ნახევარი წლის დავალებანი.

ამით შეიქმნა ხელშემწყობი ფონი იმისათვის, რომ წარმატებით შემუშავდეს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი.

სხდომაზე განხილულ იქნა ის ამოცანები, რომლებიც დასახულია საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის წინაშე. მის მუშაობაში ჩაბმული არიან თვალსაჩინო მეცნიერები, სპეციალისტები, საზოგადო მოღვაწენი, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენლები. (საქინფორმი).

## მდგომარეობა 22 ივლისისთვის

| | |
|---|---|
| რსფსრ | 4324,9 ქულა |
| უკრაინა | 3604,38 |
| მოსკოვი | 2883,62 |
| ბელორუსია | 2338,53 |
| ლენინგრადი | 1837,91 |
| საქართველო | 1435,16 |
| ყაზახეთი | 1403,66 |
| უზბეკეთი | 1370,36 |
| მოლდავეთი | 1106,93 |
| ლატვია | 1044,76 |
| ლიტვა | 963,25 |
| აზერბაიჯანი | 736,36 |
| ყირგიზეთი | 730,25 |
| სომხეთი | 635,75 |
| ესტონეთი | 607,1 |
| ტაჯიკეთი | 568,05 |
| თურქმენეთი | 184,36 |




## II საკავშირო ახალგაზრდული თამაშები

### ველოსპორტი

გზატკეცილზე ჯგუფური რბოლით ამოიწურა II საკავშირო ახალგაზრდული თამაშების პროგრამა ველოსპორტში. როგორც საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი მ. ბარამია ლენინგრადიდან გვატყობინებს, 144 კმ-ზე ჯგუფური რბოლა დიდი სიმძაფრით ხასიათდებოდა. 68 მონაწილეს 18 ჯერ უნდა გაევლო 8-კილომეტრიანი წრე, რისთვისაც 3,5 საათი მაინც იყო საჭირო.

რბოლა მაღალ ტემპით წარიმართა. მონაწილეებმა საათში საშუალოდ 45 კმ სიჩქარე განავითარეს. საქართველოს გუნდის წევრები ვაჟა ვარსემაშვილი და ვალიკო ალიბეგაშვილი შესაბამისად მე-9 და მე-12 ადგილებზე გავიდნენ, გუნდს საერთო მე-7 ადგილი მოუტანეს და 5 ქულა შესძინეს ჩვენს სპორტულ დელეგაციას. I ადგილზეა ყაზახეთის (27 ქულა) ნაკრები, მეორეზე — ესტონეთისა (17 ქულა). მომდევნო ადგილები დაიკავეს უზბეკეთის (16), ტაჯიკეთის (15), უკრაინისა (9) და ლატვიის (8) გუნდებმა. დანარჩენი კოლექტივები შეფასების გარეშე დარჩნენ.

•

### ფეხბურთი

საქართველოს წარგზავნილებმა ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრა უკრაინელებთან გამართეს და დამარცხდნენ ანგარიშით 2:4. უზბეკეთის გუნდმა მოუგო ბელორუსიის ნაკრებს — 1:0. ამგვარად, ჯგუფში I ადგილი დაიკავა უკრაინამ (6 ქულა), II — უზბეკეთმა (3), III — ბელორუსიამ (2), IV — საქართველომ (1 ქულა). უკრაინის კოლექტივი I ადგილისთვის შეხვდება მეორე ჯგუფში გამარჯვებულს — ლენინგრადის ნაკრებს, III ადგილისთვის ყირგიზეთი — უზბეკეთს, V ადგილისთვის — ბელორუსია — ესტონეთს, VII ადგილისთვის — საქართველო — აზერბაიჯანს.

•

## ღონისძიებები დასახეს

გუშინ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიმართა სასოფლო სპორტული თამაშების რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის პირველი სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა საკითხები: საქართველოს სსრ და საკავშირო მესამე საზაფხულო სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული სპორტის სახეობათა განაწილება საორგანიზაციო კომიტეტის წევრებზე, მესამე საკავშირო საზაფხულო სასოფლო სპორტული თამაშებისთვის მზადება, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" გუნდების სპორტული ფორმით და ინვენტარით უზრუნველყოფა და სხვა. აღნიშნულ საკითხებზე ილაპარაკეს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ **ვ. ულენტმა**, მისმა მოადგილემ **ნ. სომხიშვილმა**, აჭარის „კოლმეურნის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **თ. ბოლქვაძემ**, აფხაზეთის „კოლმეურნის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **შ. მიქელაძემ**, განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა **ო. ღონღაძემ**, საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენელმა **გ. ფირცხალავამ**, გურჯაანის „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარემ **შ. არუთინაშვილმა**, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს მუშაკებმა **ს. კაციტაძემ** და **თ. ნიკოლეიშვილმა**. სპორტული თამაშებისთვის მზადების საკითხებთან დაკავშირებით სხდომაზე დასახული იქნა კონკრეტული ღონისძიებანი.

სხდომის მუშაობა შეაჯამა სასოფლო სპორტული თამაშების რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ **ზ. ჯინჯარაძემ**.

### ფარიკაობა

ბუენოს-აირესში მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე დაიწყო გუნდური შეხვედრები. რაპირისტ ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა გფრ-ს გუნდი, მეორეზეა იტალიის, ხოლო მესამეზე—სსრ კავშირის ნაკრები.

## ასეთი გუნდით სხვას არც ველოდით

გუშინ მინსკიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრები, დაბრუნდა ვალმოხდილი, საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონის ტიტულით, რესპუბლიკის სპორტული დელეგაციისთვის აგრერიგად საჭირო 108 ქულითა და იმის იმედიანი რწმენით, რომ ქართველ ძიუდოისტებს შესანიშნავი ცვლა ეზრდება.

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა გუნდის მთავარ მწვრთნელს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს ანზორ მარტყოფლიშვილს. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

**— პირველ ყოვლისა სპორტის ყველა მოყვარულის სახელით მოგილოცავთ ამ დიდ, ეჭვი არ არის, დამსახურებულ გამარჯვებას. აქვე პირველი თხოვნაც: „ლელოს" მკითხველს უთუოდ აინტერესებს ის არც თუ იოლი გზასავალი, რომელიც გუნდმა ჩემპიონობით დაასრულა.**

— უმაღლესი საფეხურისკენ მიმავალი გზა ყოველთვის ერთნაირია — ეჭვებით სავსე, მძიმე და მომქანცველი. ოთხი დღის განმავლობაში, 17-დან 20 ივლისამდე გუნდის ყველა წევრი, მწვრთნელები თუ წარმომადგენლები ამ ფიქრით ცხოვრობდნენ. ჩვენი ძირითადი მეტოქე იმთავითვე ცნობილი იყო — რსფსრ-ს ძლიერი კოლექტივი. თუ მხოლოდ ციფრებს გადავხედავთ, შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ეს ბრძოლა არც შემდგარა. საქართველოს ნაკრებმა 108 ქულა მოაგროვა, რსფსრ-მ — 96, დანარჩენი გუნდებიც ერთობ „დაჩაგრულნი" აღმოჩნდნენ — ბელორუსიისა (III) და უკრაინის (IV) გუნდებმა სულ 56-56 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება. ალბათ საინტერესოა ჩვენი ძირითადი მეტოქეების მაჩვენებლებიც. ყაზახეთმა 42, ხოლო უზბეკეთმა 26 ქულა მოაგროვა. მაგრამ ეს მხოლოდ ციფრებია. თითოეული გამარჯვება, თითოეული ქულა ბიჭებს მართლაცდა ძვირად უჯდებოდათ. მიუხედავად ამისა, ფაქტიურად ყველა წონაში, ამა თუ იმ ხარისხის მედლის მფლობელი გვყავს. თამაზ ნამგალაურისა და ოლეგ ზურაბიანის ოქროს შესახებ კი ალბათ უკვე იცით.

**— სიტყვა „ფაქტიურად" ალბათ შემთხვევით არ გიხსენებიათ.**

— ასეც არის. მე კვლავ შემიძლია გავიმეორო, რომ ერთი უცნაურობა რომ არა, მედლის გარეშე არც ერთი არ დარჩებოდა. მხედველობაში გოგიჩაშვილი მყავს. ბორისმა, მას შემდეგ, რაც უკრაინელ დომონტოვიჩს ნახევარფინალური შეხვედრა მოუგო, როგორც მინიმუმი ვერცხლის მედალი გაინაღდა. სპორტსმენი მშვიდად წავიდა შინ — სალამოთი ფინალური ბრძოლა

### ძიდაობა

ელოდა. და აი, აქ მოხდა ისეთი რამ, რაც ძიუდოს ისტორიას არ ახსოვს. მსაჯთა კოლეგიამ გააუქმა ნახევარფინალის შედეგი და გამარჯვება დომონტოვიჩს მიაკუთვნა. ძიუდოს კანონების მიხედვით ტატამზე გამოტანილი მსჯავრი არავითარ განხილვას აღარ ექვემდებარება. ასე იყო, თუ ისე, გოგიჩაშვილი მეხუთე ადგილს დასჯერდა და გუნდმაც სულ ცოტა 8 ქულა დაკარგა. ეს კიდევ არაფერი. ფინალურ ოთხეულში ბორისის ნაცვლად ჩვენი ძირითადი კონკურენტის რსფსრ-ს წარმომადგენელი გუბანოვი შევიდა. მეტოქემ, ვფიქრობ, რომ დაუმსახურებლად, დამატებით 10 ქულა მიიღო. ჩვენი პროტესტი მხოლოდ შეჯიბრების ბოლო დღეს განიხილეს. მართალია, მთავარ მსაჯთა კოლეგიას სამი კაცის შემადგენლობით (დ. გულევიჩი, ა. ლუკიჩოვი, პ. ბაიროლლი) სასტიკი საყვედური გამოეცხადა, მაგრამ შედეგი აღარ შეუცვლიათ.

**— გუნდის მინსკში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ბიძინა მაზიაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ სჯერა ძიუდოსტთა გამარჯვებისა. რა დაგიმალოთ და ასევე ფიქრობდა უმრავლესობა. ეჭვი არ არის, ასეთი ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად იყო.**

(დასასრული მე-2 გვ.).

• • •



**სურათზე:** II საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდი და მწვრთნელები (მარცხნიდან): სხედან — თ. ნამგალაური, შ. ხაბარელი, გ. ნაკანი, თ. დონლუზაშვილი, მ. ლოლაშვილი; დგანან — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები გ. რატიშვილი, ჯ. ნათელაშვილი, უფროსი მწვრთნელი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ა. მარტყოფლიშვილი, მწვრთნელი ვ. კბილაშვილი, ო. ზურაბიანი, ბ. გოგიჩაშვილი, ე. დამადაევი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ო. გულისაშვილი.

## რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ



# „ოპტიმისტის“ ოპტიმისტური ეკიპაჟი

შავი ზღვა. ნაირფერი აფრები. ბათუმი და ბათუმელი ბავშვები. ბავშვები, რომლებსაც ზღვის რომანტიკა იტაცებთ. დიდია მათი ფანტაზიის უნარი, ვინც ფიქრით წიგნში წაკითხულ დიდ ზღვაოსანთა ხიფათებით აღსავსე „ბილიკებს“ მიუყვება. მაგრამ ფანტაზია ერთია და რეალობა, დღევანდელობა — მეორე. ოცნების ასახდენად ბავშვებს აფროსანთა კლუბი სჭირდებათ, თავისი მწვრთნელებითა და ნავებით.

აი, ამას ვფიქრობდი, როდესაც „ვოდნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ვ. იორამაშვილთან ერთად ზღვის მოლივლივე ტალღებში გედებივით მოსრიალე აფრებს გავცქეროდი და თან იახტკლუბის ახალ შენობასაც ვათვალიერებდით. არა, ეს სამსართულიანი შენობა ჯერ საექსპლოატაციოდ არ გადაუციათ. ახლა მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს. იორამაშვილი ოთახიდან ოთახში, სართულიდან სართულზე დაგვატარებს და გვიხსნის: „აი, აქ ელინგი იქნება, სადაც იალქნიან ნავებს, ბაიდარებს, კანოეებსა თუ აკადემიური ნიჩბოსნობის ნავებს შევინახავთ. აქ ნავების სახელოსნო მოეწყობა, იქ კი ფინური აბანო“.

ერთი სიტყვით, თავმჯდომარე იახტკლუბის შენობით კმაყოფილია.

იორამაშვილი ბევრ სასიხარულო ცნობას გვაწვდის:

— რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ მუშაობა კიდევ უფრო გამოცოცხლდა. მანამდე თუ აქ სამი-ოთხი მშენებელი ფუსფუსებდა, ახლა მათი რაოდენობა ორჯერ და სამჯერ გაიზარდა. აქტივის კრებაზე დიდი გულისყურით ვუსმენდი გამოსულ ამხანაგებს. როგორც იცით, კრებაზე დიდი ადგილი დაეთმო ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა სპორტული ბაზების მშენებლობა. რა თქმა უნდა, ჩვენ, ვოდნიკელებსაც გვაწუხებს ეს საკითხი, რომლის გადაჭრისთვის ვიბრძვით კიდეც. რამდენიმე თვეში მწყობრში ჩადგება იახტკლუბის ახალი შენობა. ამას გარდა, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს თანამშრომელთა საცხოვრებელ ადგილებში ახლახან ავაშენეთ კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთისა და ჩოგბურთის მოედნები. განზრახული გვაქვს ფოთის იახტკლუბის რეკონსტრუქცია, რომელიც მერმის დაიწყება. მომავალში განზრახული გვაქვს, აგრეთვე, დახურული 50-მეტრიანი საცურაო აუზისა და სპორტდარბაზის მშენებლობა თავისი ღია მოედნებით. ეს საკითხი ჩვენი ქვეყნის საზღვაო ფლოტის სამინისტროში დავსვით და დადებითი პასუხიც მივიღეთ. ჩვენი გეგმები მაშინ განხორციელდება, როდესაც ბათუმში სარეისთაშორისო ბაზა აიგება. და იმედი მაქვს, რომ თქვენ, ჟურნალისტებს, ბევრჯერ მოგიხდებათ ვოდნიკელი სპორტსმენების შექება, — საუბრის დასასრულ ნახევრად ხუმრობით გვითხრა თავმჯდომარემ.



კაცმა რომ თქვას, ვოდნიკელთა შესახებ ახლაც შეიძლება თბილი სიტყვის თქმა. დავიწყოთ იმით, რომ „ვოდნიკი“ ყველაზე ახალგაზრდა სპორტსაზოგადოებაა საქართველოში. მას ჯერ ათი წელიც არ შესრულებია, მაგრამ მისი თავკაცის „რეზიდენციაში“ მრავალ გარდამავალ წითელ დროშას, ვიმპელსა თუ სიგელს ნახავთ. აი, საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული გარდამავალი წითელი დროშა. იგი ცენტრალური საბჭოს შეჯიბრებაში მოუპოვებიათ. მოუპოვებიათ ზედიზედ მესამედ, შშდ კომპლექსის საქმეში მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისთვის.

ერთი ვიმპელი საქართველოს პროფსაბჭოს სპორტსაზოგადოებათა შორის სოცშეჯიბრებაში III ადგილის დაკავებისთვის მოიპოვეს.

ახლა, რამდენიმე სიტყვით ვოდნიკელთა სექციებზეც. აქ აფროსნები, მოცურავეები, კლასიკური სტილის მოჭიდავეები, მოკრივეები, ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნები, აგრეთვე, „აკადემიკოსები“ ვარჯიშობენ. მათგან ყველაზე დიდი წარმატებები აფროსნებს შეუძლიათ დაიკვეხონ: აგერ უკვე ოთხი წელია ნორჩი აფროსნები ტოლს არავის უდებენ. ამას დაუმატეთ საქართველოს თასი და ისიც, რომ საქართველოს ნაკრების 5-იალქნიანი ნავიდან 3 ვოდნიკელებისაა.

„ვოდნიკში“ უწინარეს ყოვლისა, სპორტის საწყლოსნო სახეობები არის დანერგილი, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ვოდნიკელებს არც სხვა სახეობები აქვთ დავიწყებული. ეგ კი არა და, მათმა კლასიკური სტილით მოჭიდავეებმა საქართველოს II ახალგაზრდულ თამაშებში III ადგილი დაიკავეს. წლეულს მათ ბადალი არ ჰყავდათ ქუდანოვში გამართულ ცენტრალურ საბჭოს პირველობაზე...

...კვლავ ზღვის მოლივლივე ტალღებში გედებივით მოსრიალე აფრებს გავცქერით. მათ შორის, ახალბედებისთვის განკუთვნილი „ოპტიმისტებიცაა“. მათი ეკიპაჟის წევრებიც ოპტიმისტები არიან. ნორჩებს წინ „ფინი“, „მფრინავი ჰოლანდიელი“ თუ „კატამარანი“ ელით, რომლებითაც ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები უნდა მოიპოვონ და არა მხოლოდ აფროსნებმა!

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.

• • •

სურათებზე: აფროსანთა ვარჯიშის მომენტები.

ავტორის ფოტოები.

# ასეთი გუნდით სხვას არც ველოდით

დასასრული

— დაგეთანხმებით. ჯერ ერთი, გუნდს ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად. მადლობის მეტი რა გვეთქმის რესპუბლიკის სპორტკომიტეტისა და ყვარლის პარტიული და ფიზკულტურული ხელმძღვანელობის მიმართ — ბოლო შეკრებას ხომ სწორედ ყვარელში გადიოდა გუნდი. მეორეც: ნაკრები დაკომპლექტებული იყო ერთობ ტიტულოვანი სპორტსმენებით — ევროპის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი, სსრ კავშირს ორი ჩემპიონი, პრიზიორები — ასეთი გუნდით უხერხულიც არის ოქროზე არ იფიქრო.

საუბარი ჩაიწერა ბ. ირემაძემ.

## ტექნიკური შედეგები

**60 კგ.** 1. ზ. ქესიშოვი (აზერბაიჯანი), 2. ვ. ვიატიორეცი (ბელორუსია), 3. გ. ბატჩაევი (ყაზახეთი), გ. ნაკანი (საქართველო);

**65 კგ.** 1. ო. ზურაბიანი (საქართველო), 2. ი. კოვურლუინი (მოლდავეთი), 3. ს. ლებედევი (რსფსრ), ა. კოტინი (უკრაინა);

**71 კგ.** 1. თ. ნამგალაური (საქართველო), 2. პ. რაჯაბალი (აზერბაიჯანი), 3. ვ. ნევზოროვი (რსფსრ), ა. მიარგილისი (ლიტვა);

**78 კგ.** 1. ა. იაცკევიჩი (ლატვია), 2. ა. გუნდარი (ბელორუსია), 3. შ. ხაბარელი (საქართველო), ხ. დამინოვი (უზბეკეთი);

**86 კგ.** 1. გ. სამხარაძე (მოლდავეთი), 2. დომინტოვიჩი (უკრაინა), 3. ვ. გუბანოვი (რსფსრ), ა. ოჰანესიანი (სომხეთი);

**95 კგ.** 1. გ. ვერიჩევი (რსფსრ), 2. ც. არტემიანი (სომხეთი), 3. მ. აზიმბაევი (ყაზახეთი), ე. დამადაევი (საქართველო);

**95 კგ-ს ზევით.** 1. ვ. შკალოვი (რსფსრ), 2. ე. ერემეევი (ლენინგრადი), 3. ა. ჩერეშკა (ლიტვა), თ. დონდუზაშვილი (საქართველო).

**აბსოლუტური.** 1. ე. ეფრემოვი (ლენინგრადი), 2. ვ. შკალოვი (რსფსრ), 3. ვ. ცაპენკო (უკრაინა), გ. ლოლაშვილი (საქართველო).

II საკავშირო ახალგაზრდული თამაშები

## აფროსნობა

**კლაიპედის** მიდამოებში გამართული ხუთი რბოლის შემდეგ სხვადასხვა კლასებში ლიდერობენ: „470“-ით — ი. კორიაჩკინი (მოსკოვი), რომელსაც სამი საჯარიმო ქულა აქვს, „მფრინავი ჰოლანდიელით“ — მისი თანაგუნდელი მ. აზაროვი — 3, კატამარან „ტორნადოთი“ — გ. კრავცოვი (ბელორუსია) — 17,4.

„სოლინგით“ მოასპარეზეებმა ჯერჯერობით ოთხი რბოლის ჩატარება მოასწრეს. წინ არის საქართველოს გუნდის წევრი ე. კუდრიავცევი, რომელმაც ყველას აჯობა პირველ და მესამე რბოლაში, მეორე რბოლაში ფინიშთან მეორე იყო, ხოლო მეოთხეში — მესამე. ოთხი რბოლის შემდეგ მას 8,7 საჯარიმო ქულა აქვს და 2,3 ქულით ასწრებს ო. სპოლანს (ბელორუსია). რომელმაც მეორე და მეოთხე რბოლები მოიგო.

# კარგ დასაწყისს შესაფერისი დაგვირგვინებაც უნდა

აუზი, რომელზედაც გვინდა გესაუბროთ, 1968 წელს აიგო დაბა ვანში. თავიდან სტანდარტული აუზი იყო დაგეგმილი, მაგრამ როგორც ჩანს, 25-მეტრიანი ბაზა ეცოტავათ და ადგილობრივი ფიზკულტურელები 85-მეტრიანი საცურაოთი „დააჯილდოვეს“. ის კი ველარ გაითვალისწინეს, რომ ამ „საჩუქრით“ სარგებლობა მრავალ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. აქ ნორმალურად შეჯიბრებებიც ვერ ტარდებოდა. გადაწყდა, აუზისთვის გაეკეთებინათ ტიხარი, რომლის საშუალებითაც 25 მეტრი სპორტსმენების განკარგულებაში იქნებოდა, დანარჩენ ტერიტორიას კი ცურვის მოყვარული ბავშვების სექციები დაეპატრონებოდნენ. მართლაც, აუზი გადატიხრეს, თუმცა, სამუშაოები ჯერ არ არის დამთავრებული. მაგრამ, ეს ერთი საკითხია. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ აუზის საშხაპე-გასახდელი და ტრიბუნები ისეთ მდგომარეობაშია, რომ კაცი ვერ გაარჩევს, მშენებლობა დაწყების ფაზაშია თუ უკვე გავერანდა ის, რაც დიდი ხნის წინათ აიგო.

თ. ქიქავა,
(ჩვენი სპეც. კორ.).

დაბა ვანი.

სურათებზე: ვანის საცურაო აუზი; ასე გამოიყურება, საშხაპე-გასახდელი და ტრიბუნის ერთ-ერთი კუთხე.

ავტორის ფოტოები.





## წერილების კვალდაკვალ

# „საწყალი ბურთი ჩიოდა“

ამ სათაურით „ლელოს“ 5 მაისის ნომერში დაბეჭდილ ფელეტონში ლაპარაკი იყო თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის 74-ე საბინაო-საექსპლოატაციო ექსპერიმენტული კანტორისა და სხვათა მომსახურებაში შემავალი ეზოების სპორტული მოედნების სავალალო მდგომარეობაზე, იმაზე, რომ არ სრულდება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1974 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება „მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მასობრივ-ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

რედაქციამ მიიღო თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მ. ავალიანისა და თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის გ. ყირმელაშვილის პასუხები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ფელეტონში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა.

სამწუხაროდ, ავალიანი და ყირმელაშვილი ზოგ რამეში ერთმანეთს არ ეთანხმებიან. მაგალითად, ყირმელაშვილის მიერ გამოგზავნილ პასუხში ვკითხულობთ: „ი. ჭავჭავაძის გამზირის № 40-ის ეზოში მდებარე კალათბურთის მოედნიდან დარჩა მხოლოდ ერთი ფარი, მოედნის ნაწილი დაიკავა ლითონის ავტოსადგომმა“. ავალიანი კი გვწერს: „ი. ჭავჭავაძის გამზირის № 40-ის ეზოში სპორტული მოედანი არ არსებობდა და არც შეიძლება მოეწყოს (ეზოს სიმცირის გამო). მობინადრეებმა მოშალეს კალათბურთის ფარი, რადგან იგი ფანჯრებთან ახლოს იყო“.

საერთოდ, შეიმჩნევა რომ ორჯონიკიძის რაიონის ზოგიერთ ეზოში ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც არად აგდებენ ახალგაზრდების სურვილს ჰქონდეთ მოედანი, ყოველნაირად ხელს უშლიან თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ზემოაღნიშნული დადგენილების განხორციელებას. მოედნებს ავტოსადგომებად იყენებენ ფალიაშვილის № 44 და № 49, ფალიაშვილის № 35 და ჭავჭავაძის პროსპექტის № 44-ის გაერთიანებულ ეზოებში, რაიაღმასკომს კი ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისთვის გაზეთის სიგნალამდე არავითარი ღონისძიება არ გაუტარებია.

„საბავშვო სპორტული მოედნების ნაკლებობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ დამკვეთი, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციები არ ზრუნავენ საცხოვრებელ სახლთან ერთად მოედნების მოწყობაზე. ეს ტენდენცია ახლაც მასობრივად შეიმჩნევა“ — დასძენს რედაქციაში გამოგზავნილ პასუხში ამხ. მ. ავალიანი.

# „სპორტლოტოს“ სახსრებით

ბაშკირელ მენავთობეთა ქალაქში — ნეფტეკამსკში — „სპორტლოტოს“ სახსრებით აშენდა ფიზკულტურის სახლი საცურაო აუზით. იგი „ბაშნავთმრეწველის“ ტრესტის კოლექტივმა ააგო.

ქალაქელებს განსაკუთრებით საცურაო აუზი მოსწონთ, რომლის 25-მეტრიან ბილიკებზე ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან შშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში.

(საკდესი).

# მომავალი მატჩის წინ

20 ივლისს მოსკოვში შედგა უმაღლესი და პირველი ლიგების კლუბების ხელმძღვანელთა თათბირი, სადაც სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ნ. სიმონიანი. მან განაცხადა:

— 28 ივლისს ლაიფციგში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გვაქვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან, რისთვისაც ვამზადებთ 15 ფეხბურთელს. მათ შორის არიან მეკარეები დეგტიარევი („შახტიორი“) და პილგუი (მოსკოვის „დინამო“), მცველები — პრიგოდა, ქუპიკოვი (ორივე — „ტორპედო“), ხინჩაგაშვილი (თბილისის „დინამო“), ბუბნოვი, მახოვიკოვი (ორივე — მოსკოვის „დინამო“), ნახევარმცველები — მინაევი, მაქსიმენკოვი (ორივე — მოსკოვის „დინამო“), კონკოვი, ბესონოვი (ორივე — კიევის „დინამო“), ყიფიანი (თბილისის „დინამო“), თავდამსხმელები ჩელებაძე (თბილისის „დინამო“), ბლოხინი (კიევის „დინამო“), ფიოდოროვი („ფახთაქორი“). ნაკრებში ხუთი დებიუტანტია — პრიგოდა, ბუბნოვი, ქუპიკოვი, ჩელებაძე და ბესონოვი.

— წლეულს, — დაუმატა ნ. სიმონიანმა. — ჩასატარებელი გვაქვს კიდევ ორი ამხანაგური მატჩი: 7 სექტემბერს ვოლგოგრადში პოლონეთის ნაკრებთან და 5 ოქტომბერს ჰოლანდიის ეროვნულ გუნდთან მოწინააღმდეგის მინდორზე.

1978 წლის სეზონს ჩვენი ნაკრები 8 მარტს გახსნის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან მატჩით.

## საპატიო წოდება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტში საპატიო მსაჯის წოდება მიანიჭა ფეხბურთის არბიტრებს: **ვ. ბარაშკოვს** (მოსკოვი, „ზენიტი“), **ვ. ბელოვს** (ლენინგრადი, პროფკავშირები), **ა. ბოგდანოვს** (მოსკოვი, შეიარაღებული ძალები), **ნ. ლატიშევს** (მოსკოვი, „ბურევესტნიკი“), **ს. რაზდოროჟნიუკს** (ოდესა, „ავანგარდი“), **ნ. ჩხატარაშვილს** (თბილისი, „განთიადი“), **ი. შიროკოვს** (მოსკოვი, „ტრუდი“), **ნ. ხლოპოტინს** (მოსკოვი, „ბურევესტნიკი“).

**ფეხბურთი '77**

## დოსააფელ სპორტსმენებთან

# მოფრინდებით მწვრთნელი

საჩხერის პიონერთა სახლის ნორჩ ავიამოდელისტებს ვეწვიეთ. ახალგაზრდა კონსტრუქტორები გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდნენ პლანერის შიგაწვის მიკროძრავს. ზემოთ კი, მათ თავზე მსუბუქად ირხეოდა მოზრდილი პლანერის მოდელი.

— ეს პირველია, — ღიმილით ამბობს სექციის ხელმძღვანელი, სპორტის ოსტატი ნოდარ გელბახიანი, — შეიძლება ითქვას, სექციის ისტორიაც ამ მოდელით იწყება.

ნოდარის უფროსი ძმა ალექსანდრე თურმე ბავშვობაშივე ოცნებობდა თვითმფრინავის მოდელის შექმნაზე. განუხორციელებია კიდეც რამდენიმე ჩანაფიქრი, მხოლოდ რამდენიმე... დიდ სამამულო ომში დაცემული მეოცნებე ჭაბუკის გულის ძგერა მტრის ტყვიამ შეაჩერა.

უფროსი ძმის დაწყებული საქმე ნოდარმა გააგრძელა. მასწავლებელი და გზის გამკვლევი არავინ ჰყავდა, მაგრამ გული არ გაიტეხა. ჟურნალ „კრილია როდინის“ ერთ-ერთ ნომერში თვითმფრინავის მოდელის კონსტრუქციას წააწყდა. შეკრიბა ამ საქმით დაინტერესებული თანატოლები მ. გურიელი, ა. იოვაშვილი, შ. შარვაძე, გ. მესხი და სხვები. ენთუზიასტებმა ერთად დაიწყეს მოდელის დამზადება. ახალბედებს წარმატება მხოლოდ მესამე ცდამ მოუტანა. პლანერი ოდნავ შეტორტმანდა, გასწორდა და ნამდვილი თვითმფრინავივით გააპო ჰაერი. სწორედ ამ პლანერის მოდელი ამშვენებს საჩხერის პიონერთა სახლის ნორჩ ავიამოდელისტთა სამეცადინო ოთახს.

ენთუზიასტების მეორე ნამუშევარი უფრო დიდი მოცულობისა იყო.

დოსააფის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე გ. იაშვილმა შეაქო ბიჭების წამოწყება, დაეხმარა კიდეც მათ. საჩხერელმა ავიამოდელისტებმა რაიონის ღირსების დასაცავად იასპარეზეს ქალაქ რუსთავის მიდამოებში გამართულ რესპუბლიკურ პირველობაში. შეჯიბრების ორგანიზატორებს გაჰკვირვებიათ საჩხერელთა სტუმრობა, მაგრამ, შედეგით გაოცებულნი, გულით ულოცავდნენ მათ წარმატებას...

კარგა ხნით შეწყდა წრის მეცადინეობა საჩხერეში. იგი მხოლოდ 1966 წელს განახლდა, იმავე წელს გუნდმა მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაში მოდელების ორიგინალური კონსტრუქციისთვის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპეციალური პრიზი მოიპოვა.

საქართველოს დოსააფის ავიამოდელისტთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. პალიშჩუკმა საჩხერელ მწვრთნელს ურჩია თვითონაც ეცადა ძალა. და აი, ერთი წლის თავზე ნოდარ გელბახიანი საქართველოს ნაკრებშია. 1969 წელს კიროვოგრადში გამართულ სსრ კავშირის პირველობაში ქვეყნის ჩემპიონობა და სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა. 1971 წლის აგვისტოში შვეციის ქალაქ გეტებორგში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე საბჭოთა ნაკრების რიგებში ნ. გელბახიანიც ირიცხებოდა.

მაგრამ ნ. გელბახიანი მოწოდებით მაინც მწვრთნელია. მას პირადზე მეტად აღსაზრდელთა წარმატება ახარებს. ნორჩი ავიამოდელისტების მიღწევები კი თვალსაჩინოა — 1966 წლიდან რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ისინი წარმატებით გამოდიან. ყოველწლიურად საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები საჩხერელი კონსტრუქტორებით კომპლექტდება.

1969 წელს კალუგაში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში ტოლი არავის დაუდო გელბახიანის აღზრდილმა ქ. შუბითიძემ, რომელიც ახლა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის საავიაციო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში მუშაობს. ამავე ფაკულტეტზე სწავლობენ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები გ. ცერცვაძე და თ. გაბრიჭიძე, ხოლო საავიაციო ტექნიკუმში — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ექსპერიმენტული კლასის მოდელებში ბ. კერესელიძე, საჩხერის მე-2 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე გ. მუმლაძე საბჭოთა კავშირის ჩემპიონია...

რა თქმა უნდა, წარმატებები უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, მეცადინეობის სათანადო პირობები რომ ჰქონდეთ საჩხერელებს. ყველაზე მეტად მათ მასალების სიმცირე და კორდოდრომის მშენებლობის გაჭიანურება აწუხებთ.

იმედია, ისინი სულ მალე გადალახავენ დაბრკოლებებს და საკუთარი კორდოდრომიდან აფრენილი ახალი მოდელები ახალ წარმატებებს მოუტანენ ნორჩ ავტორებს.

**გ. ბარჯაძე,**
**სპორტის ოსტატი,**
**(ჩვენი კორ.).**

საჩხერე.











●

## დიდ თარიღს მიეძღვნა

ბოლნისის რაიონში, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე ჩატარდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ნორჩ ავიამოდელისტთა რესპუბლიკური შეჯიბრება.

გუნდური I ადგილი 1806 ქულით დაიკავა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის, II — ქობულეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის (1770), ხოლო III — პროფკავშირების კულტურის სახლის გუნდებმა (753).

• • •

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** შეჯიბრების მომენტები; პირად პირველობაში გამარჯვებულნი (ქვევით მარჯვენა ფოტოზე) მარცხნიდან: დგანან — ა. ჩაჩავა (თბილისი), ვ. როშინი (ქობულეთი), ა. გურული (საჩხერე), ს. კონონიხინი (რუსთავი); სხედან — ი. ხაჩატუროვი, გ. გაბუნია (ორივე — თბილისი).

ს. ვართანესოვის ტექსტი და ფოტოები.

# თერთმეტმეტრიანების წყალობით

გაიმართა „კოლმეურნის“ საჩხერის რაიონული საბჭოს პირველობა ფეხბურთში, რომელშიც 14 გუნდი მონაწილეობდა.

კარგად იასპარეზეს და ქვეჯგუფებიდან ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს რაიკოოპერატივისა და სარემონტო კანტორის ფეხბურთელთა გუნდებმა.

ამ ორ გუნდს შორის ფინალური მატჩის ძირითადმა და დამატებითმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმების სერია. უფრო ზუსტი რაიკოოპერატივის ფეხბურთელები აღმოჩნდნენ. III ადგილი კორბოულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა დაიკავა.

I ადგილზე გასულ რაიკოოპერატივის გუნდს გადაეცა გარდამავალი თასი და პირველი ხარისხის დიპლომი. ეს კოლექტივი მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკური თასის „ოქროს თავთავის“ გათამაშებაში.

**ვ. დოლაძე,**
**(ჩვენი კორ.).**

# საქართველოს თასზე

**20 ივლისს დაიწყო რესპუბლიკური თასის გათამაშება ფეხბურთში.** პირველი დღის შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „მეტალურგი“ (რუსთავი) — „იბერია“ (ქარელი) 5:0, „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — ავტოსატრანსპორტო კანტორა (აბაშა) 4:0, „მექალალდე“ (ზუგდიდი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 2:1, „ლალი“ (თბილისი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 7:0, მანქანათსაშენებელი ქარხანა (ბათუმი) — „აბული“ (ახალქალაქი) 3:1. თბილისის „თოლია“ არ გამოცხადდა სათამაშოდ ტყიბულის „მეშახტესთან“.

27 ივლისს გაიმართება შემდგომი ეტაპის შეხვედრები. მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: „ეგრისი“ (ცხაკაია) — „განთიადი“ (კასპი), „ივერია“ (ხაშური) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „იბერია“ (საჩხერე) — „მეშახტე“ (ტყიბული), „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — „მეტალურგი“ (რუსთავი), „მექალალდე“ (ზუგდიდი) — „ლალი“ (თბილისი), „მზიური“ (გალი) — მანქანათსაშენებელი ქარხანა (ბათუმი), „მერცხალი“ (მახარაძე) — „გარეჯი“ (საგარეჯო), „განთიადი“ (ბორჯომი) — „ნადიკვარი“ (თელავი).

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 21 ივლისისთვის

### II ჯგუფი

#### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გარეჯი“ | 17 | 12 | 2 | 3 | 33—12 | 26 |
| „ჰერეთი“ | 15 | 10 | 5 | 0 | 30—12 | 25 |
| „იბერია“ | 17 | 10 | 5 | 2 | 39—22 | 25 |
| „მესხეთი“ | 17 | 7 | 9 | 1 | 31—15 | 23 |
| „მეშაქრე“ | 16 | 9 | 5 | 2 | 26—16 | 23 |
| „ვარძია“ | 17 | 9 | 4 | 4 | 23—11 | 22 |
| „მადნეული“ | 17 | 8 | 5 | 4 | 37—23 | 21 |
| „განთიადი“ ქ. | 17 | 8 | 5 | 4 | 41—28 | 21 |
| „განახლება“ | 16 | 7 | 4 | 5 | 28—26 | 18 |
| „განთიადი“ ბ. | 17 | 5 | 5 | 7 | 24—28 | 15 |
| „არაგვი“ | 17 | 5 | 4 | 8 | 26—27 | 14 |
| „აბული“ | 17 | 5 | 2 | 10 | 25—32 | 12 |
| „თრიალეთი“ | 17 | 3 | 5 | 9 | 22—34 | 11 |
| „სამცხე“ | 17 | 4 | 2 | 11 | 25—40 | 10 |
| „ბახტრიონი“ | 17 | 2 | 6 | 9 | 20—37 | 10 |
| „ცისკარი“ | 16 | 1 | 6 | 9 | 12—32 | 8 |
| „ალაზანი“ | 16 | 3 | 2 | 11 | 24—45 | 8 |
| „არაგვი“ | 17 | 3 | 2 | 12 | 27—53 | 8 |

#### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ენერგეტიკ.“ | 15 | 10 | 4 | 1 | 33—10 | 24 |
| „სულორი“ | 15 | 8 | 5 | 2 | 26—12 | 21 |
| „შუქურა“ | 14 | 8 | 3 | 3 | 21—11 | 19 |
| „ტორპედო“ | 15 | 9 | 1 | 5 | 25—17 | 19 |
| „მექალალდე“ | 15 | 6 | 4 | 5 | 23—21 | 16 |
| „ბახმარო“ | 15 | 5 | 5 | 5 | 28—23 | 15 |
| „ნაკადული“ | 15 | 4 | 7 | 4 | 20—25 | 15 |
| „შახტიორი“ | 15 | 5 | 4 | 6 | 20—15 | 14 |
| „გიგანტი“ | 15 | 4 | 5 | 6 | 24—30 | 13 |
| ხდკ | 15 | 5 | 2 | 8 | 23—25 | 12 |
| „ოჯალეში“ | 15 | 4 | 4 | 7 | 21—24 | 12 |
| „ავტომ.“ მ. | 15 | 4 | 4 | 7 | 19—23 | 12 |
| „ხამგურალი“ | 15 | 4 | 4 | 7 | 18—24 | 12 |
| „ავტომ.“ ბ. | 15 | 4 | 2 | 9 | 20—38 | 10 |
| „მშენებელი“ | 15 | 5 | 0 | 10 | 19—42 | 10 |

# იმედი გაამართლა

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ოსტატთა და ჭაბუკ მოჭადრაკეთა მატჩ-ტურნირი.

დასკვნითი ტურის წინ მსაჯთა კოლეგიამ გადადებულ პარტიებში შემდეგი შედეგები გამოიტანა: ოსტატი ა. ბლაგიძე — თ. ხანთაძე 1:0, ოსტატი ი. ჩიქოვანი — ვ. ბოჭორაძე 1:0, ბლაგიძე — ბოჭორაძე 1:0, ჩიქოვანი — ხანთაძე 0,5:0,5, ოსტატი თ. კიკიანი — ხანთაძე 0,5:0,5. იმ გადადებულ პოზიციებში, სადაც მოგებისა ან ყაიმის გზა არ ჩანდა, მეტოქეებმა თამაში განაგრძეს. ა. მეშველიანმა ყაიმს მიაღწია დიდოსტატ ბ. გურგენიძესთან და ოსტატ ზ. მიქაძესთან, ხანთაძემ — გურგენიძესთან, ა. ჩიკვაიძემ — ბლაგიძესთან. მეორე გადადებული პარტია ჩიკვაიძემ მოუგო ბლაგიძეს. დ. ჩაჩიბაია მიქაძესთან დამარცხდა.

დასკვნით, X ტურში დაზავდნენ ბლაგიძე — ხანთაძე, ჩიქოვანი — მეშველიანი და გურგენიძე — ჩაჩიბაია. მიქაძემ სძლია ჩიკვაიძეს, ოსტატობის კანდიდატმა ე. მიქაელიანმა — ბოჭორაძეს.

ტურნირი დამთავრდა. ბ. გურგენიძემ და ი. ჩიქოვანმა 8,5-8,5 ქულა მოაგროვეს ა. ბლაგიძემ — 7,5, ზ. მიქაძემ — 7, თ. კიკიანმა — 3,5 ქულა (5-დან), ე. მიქაელიანმა — 4 ქულა (5-დან).

ჭაბუკთა შედეგები ასეთია: თ. ხანთაძე — 3,5, ა. მეშველიანი — 3, ა. ჩიკვაიძე — 2,5, ვ. ბოჭორაძე — 1,5, დ. ჩაჩიბაია — 0,5.

შეჯიბრებამ იმედი გაამართლა. პაექრობა უშეღავათო და დაძაბული იყო. ყველა ოსტატის აზრით, მსგავსი შეხვედრები ჭაბუკთათვის გამოცდილების შეძენის, დაოსტატების საუკეთესო სკოლაა. მართალია, ჭაბუკებმა ცოტა ქულა მოაგროვეს, სამაგიეროდ ბევრი რამ ისწავლეს ჭადრაკის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებში. კარგი იქნება თუ მატჩ-ტურნირი ტრადიციული გახდება. ჩვენი აზრით, მასში თამაშის უფლება უნდა მიეცეს საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატში პირველ ექვს ადგილებზე გასულ ნორჩ მოჭადრაკეებს.

**გ. მაჰავარიანი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

## ჭადრაკი

### პრეტენდენტთა მატჩებზე

#### ჟენევაში

ვაჟთა მსოფლიო პირველობის ბ. სპასკი — ლ. პორტიშის მატჩში გათამაშდა VII პარტია. ისევე როგორც მეექვსე პარტიაში, აქაც ყაიმი აღინიშნა და მატჩის ანგარიშიც საყაიმოა — 3,5:3,5.

#### ევიანში

მეორე ნახევარფინალურ მატჩში ვ. კორჩნოიმ VII პარტია მოუგო ლ. პოლუგაევსკის და მატჩის ანგარიში გახდა — 6:1 კორჩნოის სასარგებლოდ.



შეუპოვარი ნაბიჯები.

## საქვეყნო მოვლენები

### ✦ „უნივერსიადა-77“ რეკორდისაკენ მიდის

სოფიაში მსოფლიო სტუდენტური საზაფხულო თამაშების „უნივერსიადა 77-ის“ გახსნამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა.

1973 წლის მოსკოვის უნივერსიადაში, საზაფხულო სტუდენტური თამაშების ისტორიაში ყველაზე მეტი ქვეყანა (73) გამოდიოდა. შეიძლება სოფიაში მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა იყოს.

სოფიაში თამაშების შემდეგ ჩატარდება სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „სტუდენტური სპორტის განვითარება“.

### ✦ პატარა სენსაცია

მანილა. მძლეოსნობაში ფილიპინების ღია ჩემპიონატის სენსაცია იყო ცამეტი წლის არსენია საგარეის გამოსვლა. გოგონას სიმაღლეა 122 სმ, წონა — 32 კგ-მდე. 3000-მეტრიანი დისტანცია მან, ფეხშიშველამ 11 წუთსა და 2 წამში გაირბინა. ეს შედეგი მოზრდილთა ნაციონალურ რეკორდს 24 წამით აღემატება.

არსენიამ მეორე დისტანციაზე — 1500 მეტრზეც გაიმარჯვა. მაყურებლებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს ახალგაზრდა ჩემპიონი, თუმცა ამჯერად იგი ნაციონალურ რეკორდს არ „შეწვდომია“.

# მეკარე, რომელსაც სათადარიგო არ ჰყავს?..

ბონი. (საკდესი). როცა მიუნხენის „ბაიერნი“ თამაშობს, სათადარიგოთა სკამზე არასდროს ზის მეკარე. კლუბში, რა თქმა უნდა, ჰყავთ სათადარიგო მეკარე — ლიხტი, მაგრამ როცა გუნდის ძირითად მეკარეს ეკითხებიან დუბლიორზე, ის ღიმილით პასუხობს: „სათადარიგო? ვინ არის იგი?“

და ამას სულ ხუმრობაშიც ვერ ჩამოვართმევთ, რადგან მაიერი ბოლო წლებში შეუცვლელად თამაშობს. ამ ფეხბურთელის აზრით, მეკარე მუდამ ბრწყინვალე ფორმაში უნდა იყოს. მინდვრის მოთამაშე შეიძლება შეცდეს, მაგრამ მეკარის შეცდომა გამოუსწორებელია.

**● არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში თქვენს გარდა კიდევ ვის აქვს გფრ-ის ნაკრების შემადგენლობაში გამოსვლის შანსი?**

— არჩევანი დიდია: კარგად თამაშობს კარგუსი („ჰამბურგი“), ნაკრებში მოხვედრის შანსი აქვს, აგრეთვე, ბრაუნშვაიგის „აინტრახტის“ მეკარე ფრანკეს. შესამჩნევად გააუმჯობესა თამაში კნაიბემ („ბორუსია“, მიონჰენგლადბახი). როგორც ხედავთ, სოლიდური კონკურენციაა.

**● დიდი ხანია თქვენ გფრ-ის ნაკრების ნომერ პირველი მეკარე ხართ. რას ურჩევდით სათადარიგოებს?**

— ვინ არის სათადარიგო? ეს ისევე კარგი მეკარეა, რომელსაც ნაკლებად გაუღიმა ბედმა... მეკარისთვის საუკეთესო ასაკია 30 წელი, მაგრამ „სათადარიგოებს“ მინდა ვურჩიო, რომ მუდამ კარგ სპორტულ ფორმაში იყვნენ, ნუ დაელოდებიან ამ ასაკს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ღირსეულად შეცვალო პირველი მეკარე. ამისთვის საჭიროა თავდადებული ვარჯიში და სწორი რეჟიმი.

### 900 მწვრთნელი!

ინგლისის სპორტულ პრესაში საინტერესო სტატისტიკური მონაცემები გამოჩნდა. ომისშემდგომ წლებში ინგლისის 92 პროფესიულმა კლუბმა სამუშაოდან დაითხოვა 900 მწვრთნელი! ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ევროპის სხვა დანარჩენ ქვეყნებში.




### წარუმატებელი თამაშის შემდეგ

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ მოისმინა ეროვნული ნაკრების მწვრთნელის მენოტის ანგარიში ევროპის (ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის, გფრ-ის) გუნდებთან მატჩების სერიის შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ ამ მატჩების შედეგები არგენტინელთათვის აშკარად არადამაკმაყოფილებელია. მენოტიმ ამის მიზეზად დაასახელა ნაკრების შემადგენლობის სისუსტე. ცნობილია, რომ ბევრი გამოჩენილი არგენტინელი ფეხბურთელი უცხოეთში იმყოფება, რაც ნაკრების თამაშს აშკარად ეტყობა. მიღებული იქნა გადაწყვეტილება უცხოეთის კლუბებიდან არგენტინელ ფეხბურთელთა მოწვევის შესახებ, რასაც აქამდე ნაკრების ხელმძღვანელობა აშკარად ერიდებოდა.

პირველი მოწვევა საფრანგეთში მოთამაშე ცენტრალურ მცველ პიაცას („სენტ-ეტიენი“) და ცენტრალურ თავდამსხმელს ბიანკის („სტად დე რეიმსი“) გაეგზავნა. ბიანკიმ საფრანგეთის 1975-76 წლების ჩემპიონატში 34 ბურთი გაიტანა, 1976-77 წლების ჩემპიონატში კი — 29.

### „შაბათის სპორტლოტოს“ შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, 29-ე ტირაჟებისა, რომლებიც 16 ივლისს მოსკოვში მოეწყო.

**პირველი:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (5 ბარათი), ოთხისთვის — 271 (688), სამისთვის — 8 (25309).

**მეორე:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2519 მანეთია (33 ბარათი), ოთხისთვის — 79 (1998), სამისთვის — 4 (43386).

მოგებული თანხა გაიცემა 27 ივლისიდან 27 აგვისტოს ჩათვლით.

# შევუქმენით პირობები!..

ლონდონი. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჯეფრი მილერი გადმოგვცემს, რომ ბრიტანეთის ცურვის ხელმძღვანელები აცხადებენ: „შეგვიქმენით პირობები და ჩვენ რამდენიმე ოლიმპიურ მედალს მოვიპოვებთ მოსკოვში 1980 წელს“. და ეს განცხადება არც თუ უსაფუძვლოა. ძირითადი პრობლემა, რომელიც ბრიტანეთის სამოყვარულო ცურვის ფედერაციას აწუხებს, ისაა რომ, ინგლისელი მოცურავეები ბაზების უქონლობის გამო ოკეანისგაღმა მიეშურებიან.

მონრეალის ოლიმპიურმა ჩემპიონმა დევიდ უილკიმ (200 მ ბრასით) წარმატებას მიაღწია იმით, რომ ამერიკის ქალაქ მაიამის უნივერსიტეტში ვარჯიშობდა. იქვე გადიოდა წვრთნას მონრეალის ოლიმპიადის მონაწილე ორი ინგლისელი მოცურავე — სინ მაკერი და პოლ ნაისბი. ოლიმპიადის შემდეგ ინგლისის ეროვნული გუნდის კიდევ ოთხმა წევრმა — გარი აბრაჰამმა, კევინ ბერნსმა, დუნკან კლევორზმა და პიტერ ლერპინერმა დაიწყო ამ უნივერსიტეტში ვარჯიში. აშშ-ში ინგლისელმა სპორტსმენებმა საწვრთნელ ბაზად მხოლოდ მაიამის უნივერსიტეტი როდი აირჩიეს. მაგალითად, ჯიმი კარტერი ბერკლიში (კალიფორნიის შტატი) ვარჯიშობს, დუნკან გუდჰიუ — ჩრდილოეთ კაროლინაში, გორდონ დაუნსი — მიჩიგანში.

ბრიტანეთის სამოყვარულო ცურვის ფედერაციამ წერილი გაუგზავნა სპორტის მინისტრს დენის ჰაუელს. აი, ნაწყვეტი ამ ბარათიდან:

— ოქსფორდისა და კემბრიჯის — ამ უძველეს და რესპექტაბელურ უნივერსიტეტებს არა აქვთ სათანადო ზომის აუზები;

— ინგლისის არც ერთ უნივერსიტეტს არ ჰყავს ცურვის მწვრთნელი.

ბრიტანეთის სამოყვარულო ცურვის ფედერაციის მდივანმა ნორმან სერსფილდმა თქვა: „მთავრობა არ გვეხმარება სპორტული ბაზების მოწყობაში. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ სპორტის მინისტრის მხარდაჭერით მალე დაიწყება სპორტული ცენტრების მშენებლობა. მართალია, ჩვენს ქვეყანაში არის ახალი საცურაო აუზები, მაგრამ ისინი არ გვყოფნის. ამას განსაკუთრებით ის სპორტსმენები გრძნობენ, რომლებსაც მხოლოდ დილის 7 საათამდე, ან საღამოს 9 საათის შემდეგ შეუძლიათ ვარჯიში“.

„ჩვენ გვყავს ნიჭიერი მოცურავეები, ისინი შეძლებენ მოსკოვის ოლიმპიადაში წარმატების მოპოვებას, — თქვა ბოლოს სერსფილდმა. — მაგრამ გვწყინს, რომ ოლიმპიური შედეგების მისაღწევად სპორტსმენები იძულებული არიან სავარჯიშოდ საზღვარგარეთ გაემგზავრონ“. (საკდესი).

## ძალოსნობა

# ევროპა — ამერიკის მატჩი

ბუდაპეშტი (საკდესი). უნგრეთის დედაქალაქში გათამაშდება „პანონიას თასი“, ეს შეჯიბრება ევროპა — ამერიკის საკონტინენტთაშორისო ძალოსნური მატჩიც იქნება.

28-30 ივლისს შეჯიბრებაზე ჩამოვლენ 24 ქვეყნისა და 5 კონტინენტის ძალოსნები, მათ შორის — ცნობილი ათლეტები, ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი), ხ. პლაჩკოვი და ვ. ხრისტოვი (ორივე — ბულგარეთი). ტურნირში გამოვლენ ოლიმპიური ჩემპიონები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებულნი, მსოფლიო რეკორდსმენები.

ევროპისა და ამერიკის ნაკრები გუნდების შემადგენლობა ასეთია: 52 კგ. პოლონსკი (სსრ კავშირი), კიოსეგი (უნგრეთი), ლელეტკო (პოლონეთი), კასამაიორი (კუბა), ფიგეროლა (მექსიკა); 56 კგ. კოლესნიკოვი (სსრ კავშირი), ტოდოროვი (ბულგარეთი), ბენედეკი (უნგრეთი), ვილიალობოსი (კუბა), სანტონიო (მექსიკა); 67,5 კგ. კაჩმარეკი (პოლონეთი), სენე (საფრანგეთი), ჩარნეცკი (პოლონეთი), ურუტია (კუბა), როდრიგესი (მექსიკა); 75 კგ. ვართანიანი (სსრ კავშირი), მიტკოვი (ბულგარეთი), შტარკი (უნგრეთი), გონსალესი (კუბა), ვეტერბი (მექსიკა); 82,5 კგ. ილიადისი (საბერძნეთი), ბაცაკო (უნგრეთი), კასტელი (კუბა); 90 კგ. საიდულაევი (სსრ კავშირი), აშშ-ის წარმომადგენელი; 100 კგ. კოზლოვი (სსრ კავშირი), ბრუაიე (შვეიცარია), იარგორსკი (პოლონეთი), კორეა (კუბა), აშშ-ის წარმომადგენელი; 110 კგ. სერდიუკოვი (სსრ კავშირი), ხრისტოვი (ბულგარეთი), რუტკოვსკი (პოლონეთი), მენდესი (კუბა), აშშ-ის წარმომადგენელი; 110 კგ-ს ზევით. ალექსეევი (სსრ კავშირი), პლაჩკოვი (ბულგარეთი), ნადი (ჩეხოსლოვაკია), ბერნალი (კუბა), აშშ-ის წარმომადგენელი.

# „მოსკოვში შეხვედრამდე!“

მონრეალის ოლიმპიადაში 400 და 800 მეტრზე რბენაში გამარჯვებულმა კუბელმა სპორტსმენმა ალბერტო ხუანტორენამ მთელი სპორტული სამყარო გააოცა. მან შეძლო ამ სახეობაში აშშ-ს მძლეოსანთა მონოპოლიის დამხობა.

...ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონს ალბერტოს ჰავანის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონში მდებარე პატარა ბინაში ვეწვიეთ. იგი უნივერსიტეტიდან (ალბერტო ეკონომიური ფაკულტეტის I კურსზე სწავლობს) ახალი მოსული იყო და კვლავ უნივერსიტეტის სტადიონზე აპირებდა წასვლას.

და თუმცა „ოლიმპიური ტემპით“ ვისაუბრეთ, ლაპარაკი მაინც გაგვიგრძელდა და ალბერტომ ალბათ პირველად დააგვიანა ვარჯიშზე. ბევრი რამ გვიამბო ამ მაღალმა, 25 წლის ათლეტმა.

...ალბერტო სპორტს 1968 წელს ეზიარა, როცა იგი ჰავანის პროვინციის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში მივიდა. თავისი სიმაღლის გამო კალათბურთში გადაწყვიტა მეცადინეობა. სამი წელი დაჰყო მან კალათბურთის მოედანზე და კარგი რეაქციისა და სისწრაფის წყალობით წარმატებასაც მიაღწია. იგი ქვეყნის ნაკრები გუნდის კანდიდატთა სიაშიც იყო.

მაგრამ 1971 წელს ყველაფერი შეიცვალა. ალბერტო მიხვდა, რომ მისი მოწოდება რბენა იყო და „პედრო მარესის“ სტადიონზე მძლეოსნობის სექციას მიაკითხა. ასე მოხვდა იგი ცნობილ პოლონელ მწვრთნელ ზიგმუნდ ზაბეჟოვსკისთან, რომელიც იმ დროს კუბელ სპორტსმენებს ავარჯიშებდა. იმთავითვე გადაწყდა, რომ ალბერტო 400 მეტრზე რბენაში დაოსტატდებოდა. დაიწყო წვრთნა.

იმავე წელს იგი სერიოზულად დაშავდა და ორჯერ გაიკეთა ოპერაცია.

**● როგორ შეძელით სპორტს ასე სწრაფად დაბრუნებოდით?**

— მთავარია, თავად სპორტსმენმა მოინდომოს უწინდელი ფორმის რაც შეიძლება სწრაფად აღდგენა. სურვილის გარდა, რა თქმა უნდა, აუცილებელია ნებისყოფა, შემდეგ ვარჯიში და ვარჯიში...

1971 და მომდევნო წლებში ხუანტორენა 400 მეტრზე რბენაში ვარჯიშობდა. ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე 800-მეტრიან დისტანციაზეც იასპარეზა.

— როცა ზაბეჟოვსკიმ ნახა, რომ 800 მეტრზე კარგი შედეგი მქონდა, გადავწყვიტეთ ამ დისტანციაზეც მევარჯიშა. ეს იყო ოლიმპიურ 1976 წელს.

შეიცვალა მეცადინეობის ინტენსიურობა, ხარისხობრივი მაჩვენებელი, პროგრამაში 800 მეტრის გაჩენისთანავე დიდ ყურადღებას სისწრაფის გამომუშავებას ვაქცევდით. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან გაზრდილიყოს ყოველდღიური კილომეტრაჟი (ჩემი ძირითადი დისტანცია ვარჯიშის დროს 600 და 1000 მეტრია), მაგრამ მაინც ჩემი ფიზიკური დატვირთვა მნიშვნელოვნად გაიზარდა. წვრთნის პროგრამაში შევიდა: უსწორმასწორო ადგილების სწრაფად დაფარვა, რბენა მთაში, ქვიშაზე... ოღონდ ვარჯიშის ხანგრძლივობას ორი საათისთვის არასდროს გადაუჭარბებია.

**● ალბათ იღლებით?**

— ხდება ხოლმე. მაგრამ ძალების აღსადგენად სპეციალურ საშუალებებს არ ვხმარობ. ყველაზე კარგი დასვენებაა ქალაქგარეთ გასეირნება. სპორტი, რა თქმა უნდა, მსხვერპლს მოითხოვს (მხედველობაში მაქვს აუცილებელი რეჟიმის დაცვა) და ვისაც ოლიმპიური ჩემპიონობა სურს, სიგარეტსა და ალკოჰოლიან სასმელებს უნდა შეელიოს.

**● რა გეგმები გაქვთ მიმდინარე სეზონში?**

— წლეულს ჩემთვის მთავარი იქნება სამი შეჯიბრება: აგვისტოში სოფიის მსოფლიო უნივერსიადა, სოციალისტური ქვეყნების მეგობრული არმიების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება, რომელიც ჩვენთან, კუბაში გაიმართება სექტემბერში და ასევე სექტემბერში დაგეგმილი პირველი მსოფლიო თასის გათამაშება მძლეოსნობაში, რომელიც დიუსელდორფში გაიმართება.

**● ვინ არის თქვენი ძირითადი მეტოქე?**

— ამერიკელები ფრეზერი და ნიუჰაუზი ჩემი მთავარი მეტოქეებია 400-მეტრიან დისტანციაზე. დღესდღეობით ესენი არიან ერთ-ერთი უძლიერესები, 800 მეტრზე კი — ოლიმპიადის პრიზიორი ამერიკელი უოლხატერი და კენიელი ბოიტია.

**● შესაძლებელია თუ არა თქვენი საყვარელი დისტანციების უფრო სწრაფად დაფარვა?**

— ვფიქრობ, ახლო მომავალში 800 მეტრს ერთ წუთსა და 43 წამზე ნაკლებ დროში დავფარავენ.

**● რა არის იმისთვის საჭირო, რომ მძლეოსნობას მეტი თაყვანისმცემელი ჰყავდეს?**

— შეჯიბრებები უნდა იყოს სანახაობითი, უნდა გაუმჯობესდეს სპორტსმენთა მიერ ნაჩვენები შედეგები. ამას გარდა, დიდ როლს ასრულებს მძლეოსნობის პროპაგანდა და შეჯიბრებების კარგი ორგანიზაცია.

— ზაფხულის თამაშების დედაქალაქად მოსკოვის არჩევა, — თქვა დასასრულ ხუანტორენამ, — ეს სოციალისტური სპორტის გამარჯვება, საბჭოთა კავშირის მაღალი სპორტული პრესტიჟის აღიარებაა. ჩემდა თავად მე ყველაფერს გავაკეთებ, რათა ამ ოლიმპიადის მონაწილე გავხდე. ასე რომ, მოსკოვში შეხვედრამდე!

ი. გოლუბევი.

(საკდესის კორ.).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი. ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურულიმუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-59; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; კადრაკის — 93-97-51; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 07777